


### თავი III

## სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები


„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელი განისაზღვრა 9 080 000.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 6 747 604.3 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 74.3%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 6 182 802.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.6%-ია.

2011-2014 წლებში 9 თვის ფაქტიური შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში



საქართველოს 2013-2014 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების 9 თვის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



## სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 7 539 613.4 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 547 789.2 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 73.6%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 209 043.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.9%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 734 125.3 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 558 968.7 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 76.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 401 404.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 71.8%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა


„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 208 180.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 193 327.5 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 92.9%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 145 461.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 75.2%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 598 081.3 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 447 518.9 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 74.8%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 426 893.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.4%-ია.

2014 წლის 9 თვის ასიგნებების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფილი იქნა იანვარში 687.0 ათასამდე პირი, თებერვალში - 686.4 ათასზე მეტი, მარტში - 686.4 ათასზე მეტი პირი, აპრილში-689.5 ათასზე მეტი პირი, მაისში-690.0 ათასზე მეტი პირი, ივნისში-691.6 ათასზე მეტი პირი, ივლისში - 693.0 ათასამდე პირი, აგვისტოში-695.0 ათასამდე და სექტემბერში-694.5 ათასზე მეტი პირი, ხოლო სახელმწიფო კომპენსაცია გაიცა იანვარში 18.1 ათასზე მეტ პირზე, თებერვალში - 19.6 ათასზე მეტ პირზე, მარტში - 19.8 ათასზე მეტ პირზე, აპრილში - 19.9 ათასზე მეტ პირზე, მაისში - 20.0 ათასზე მეტ პირზე, ივნისში-20.2 ათასზე მეტ პირზე, ივლისში-20.0 ათასზე მეტ პირზე, აგვისტოში - 20.4 ათასამდე პირზე და სექტემბერში-20.0 ათასზე მეტ პირზე; სულ საანგარიშო პერიოდში საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 994.5 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ლატაკი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შეასრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სულ სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართული იქნა 459.1 მლნ ლარი. ამასთან, 2014 წლის 1 მარტიდან ერთ დევნილზე, ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა გაიზარდა და განისაზღვრა 45 ლარით.

- ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების, დევნილი მოსახლეობის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების, ასევე 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მიიმართა 67.4 მლნ ლარი;

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში რომელის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე გეგმიურ ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 211.1 მლნ ლარი.

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- საანგარიშო პერიოდში რეაბილიტაციისა და პროთეზირების კურსზე აშშ-ში გაიგზავნა 9 სამხედრო მოსამსახურე, რომლებმაც სამშვიდობო მისიებში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის

ბრძოლაში მიღებული ტრავმის შედეგად დაკარგეს სხვადასხვა კიდური. ამისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან მიიმართა 2 990.8 ათასი ლარი;

- მიმდინარეობდა სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი, რომლის ფარგლებში გადამოწმდა 80 ობიექტი, აღწერილ იქნა 2 400-მდე ოჯახი. დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემაზე მომზადდა 2 129 ოჯახზე. საკუთრებაში ბინები გადაეცა 1 529 ოჯახს;

- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების რეაბილიტაცია და 712 დევნილი ოჯახი გადაყვანილ იქნა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, თეთრიწყაროში, ზესტაფონში, ბათუმში, ზუგდიდში, ვანში, თერჯოლაში, წყალტუბოში, ხაშურსა და ქარელში. რეაბილიტირებულ შენობებში განხორციელდა ელექტროენერჯის, გარე საკანალიზაციო და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა; ამასთან, ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 51 ობიექტს;

- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, ქ. თბილისსა და რეგიონებში შეძენილ იქნა 33 ბინა და 2 საცხოვრებელი სახლი;

- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის პროგრამაზე (დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია (ევროკავშირი), იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (KfW) და ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (USAID)) მიმართულ იქნა 39.2 მლნ ლარი;

- სოციალური დახმარების სახით, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 2 682 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან და უკიდურესად გაჭირვებულ 424 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად ოჯახზე 200-დან 300 ლარამდე).

- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 084 საჯარო და 240 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 269.0 მლნ ლარამდე, საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების უზრუნველსაყოფად - 5.2 მლნ ლარი, სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაფინანსებლად - 6.7 მლნ ლარზე მეტი;

- „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მიმდინარე წლის პროგრამაში ჩართულია 59 ინგლისური ენის და 15 ჩინური ენის მოხალისე მასწავლებელი, მ.შ. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ახალი ნაკადის 39 მოხალისე მასწავლებლის საქართველოში ჩამოსვლა. მათ ჩაუტარდათ ტრენინგები და მოხდა მათი განთავსება სამეგრელოს, იმერეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, გურიის რეგიონებში და აგრეთვე, თბილისში;

- მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში სულ დასაქმებულია 1 117 მანდატური, რომლებიც გადანაწილებულნი არიან 400 საჯარო და 1 კერძო სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელში და 1 უნივერსიტეტში. ამ მიზნით სულ მიიმართა 5.0 მლნ ლარი;

- „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2013-2014 სასწავლო წლის II სემესტრში უზრუნველყო 901 საჯარო სკოლის 47 085 მოსწავლის, ხოლო 2014-2015 სასწავლო წლის I სემესტრში 1 066 საჯარო სკოლის 52 664 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია. ამ მიზნით სულ მიიმართა 7.3 მლნ ლარი;

- განხორციელდა 143 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და 2 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა.

- „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაეცა 430 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დამხმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 308 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური

ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 62 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 110 სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 45 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 114 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში და მოიპოვეს 367 მედალი (119 ოქროს, 108 ვერცხლის და 140 ბრინჯაოს)

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ჯადმიანი, ზაქანი, ხადი და კაიშაური) მცხოვრები მოსახლეობის მიერ 2013 წლის დეკემბერში და 2014 წლის იანვარ-მაისში მოხმარებული 6.5 მლნ მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის ღირებულება 2.6 მლნ ლარის ოდენობით;

- ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ანგარიშზე მიიმართა 3.0 მლნ ლარი ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით და 1.0 მლნ ლარი აგროდაზღვევის ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად;

- მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დასაფინანსებლად, ერთწლიანი კულტურების წარმოების აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების საწარმოო საშუალებების მიწოდების მიზნით 50.0 მლნ ლარი მიიმართა ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ანგარიშზე;

- საანგარიშო პერიოდში ღვინის კომპანიების მიერ გადასამუშავებლად მიღებულია 113,0 ათასი ტონა ყურძენი, მათ შორის: რქაწითელი - 71,7 ათასი ტონა, კახური მწვანე - 2,2 ათასი ტონა და საფერავი 39,1 ათასი ტონა. აღნიშნული ღონისძიებებისთვის 1 ოქტომბრის მდგომარეობით სუბსიდიების სახით ანაზღაურებულია 7.5 მლნ ლარამდე.

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯული იქნა 341.1 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ გზების პერიოდული შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 85.2 მლნ ლარი.
- ✓ გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 28.1 მლნ ლარი.
- ✓ ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე - 171.1 მლნ ლარი.

- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 81.0 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 29.4 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 4.5 მლნ ლარი.
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) პროექტზე - 10.4 მლნ ლარი.

- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 50.8 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე (I და II პროექტი) - 24.7 მლნ ლარი.
- ✓ ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 23.6 მლნ ლარი.

- დამწყები, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და განვითარების, ასევე ექსპორტის ხელშეწყობის, წახალისების და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო;

- ქვეყანაში მიწისზედა მაუწყებლობიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიების განხორციელების მიზნით შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიების ცენტრალიზებულად წარმართვის მიზნით - სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;

- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი და მეორე ტური ჩატარდა მშვიდ, ღია, გამჭვირვალე გარემოში და საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების მიერ დადებითად შეფასდა. არჩევნებზე მიიმართა 30.4 მლნ ლარამდე.
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 14 საარჩევნო სუბიექტი. საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა 15.4 მლნ ლარამდე;
- დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა ხუთ სახელმწიფოსთან, საქართველოს საელჩოების მიერ განხორციელდა ექვსი ქვეყნის დიპლომატიური გადაფარვა, ერთ ქვეყანაში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ. საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და გაეროს სამშვიდობო მისიაში.
- ხელი მოეწერა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ცვლილებების ოქმს ერთ სახელმწიფოსთან, საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებებს ორ ქვეყანასთან, საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებას ერთ სახელმწიფოსთან და საბაჟო კონტროლის ფორმების ურთიერთალიარების შესახებ ოქმს ერთ ქვეყანასთან, შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ერთ ქვეყანასთან რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ;
- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად 2014 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 15 მარტს გამოშვებული 480 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 440 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 6 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის წლიური 7.3 პროცენტი სარგებლის გადახდით. ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2014 წლის 15 მარტს განხორციელდა 2009 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 5 000.0 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2010 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 11 000.0 ათასი ლარის ოდენობით და 2014 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა 2011 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 10 000.0 ათასი ლარის ოდენობით.
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 541 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 502.3 ათასი ლარი.


## სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური

### კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 978 157.2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 945 561.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.7%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 18.2%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 15.3%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 685 376.6 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 614 065.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.6%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.8%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 9.9%-ს შეადგენს.

2013-2014 წლების 9 თვის საქონელი და მომსახურების მუხლის ფაქტიური შესრულება



„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 84 056.2 ათასი ლარი;
- მივლინებები - 50 276.7 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 130 565.4 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 11 839.8 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 49 536.6 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 18 487.9 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 16 107.4 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 92 269.5 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 3 626.6 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 157 299.8 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 178 907.9 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 92.2%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 3.4%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 90 604.5 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 88 151.8 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა 209 912.8 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 185 013.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 3.6%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობისა და სამეცნიერო კვლევების პროგრამები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 14 895.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 120.4%-ს შეადგენს;
- ✓ სახელოვნებო განათლების, ხელოვნების განვითარების ღონისძიებების და მუზეუმების ხელშეწყობისთვის - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 39 286.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.1%-ს შეადგენს;
- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 35 595.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.6%-ს შეადგენს;
- ✓ სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი - აღნიშნული მიზნით მიიმართა 9 702.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.2%-ს შეადგენს;
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - ჯამურად მიიმართა 11 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 78.6%-ს შეადგენს;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 18 147.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 62.8%-ს შეადგენს;
- ✓ ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 2 616.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 55.5%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 719 857.1 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (739 416.2 ათასი ლარი) 97.4%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 13.8%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 867 288.9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (1 882 722.6 ათასი ლარი) 99.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 35.8%-ს შეადგენს.



სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 994 428.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური დახმარებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 459 141.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.2%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებზე ზრუნვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 10 714.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88.9%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაზღვევა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 67 372.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 209 104.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სამედიცინო მომსახურების პროგრამები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 107 242.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.8%-ს შეადგენს;

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 858 083.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 698 348.0 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 81.4%-ს შეადგენს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.4%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 11.3%-ს შეადგენს.


„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (მ.შ დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 42 036.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.4%-ს შეადგენს;
- პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 15 388.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.9%-ს შეადგენს;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 52 265.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 42.4%-ს შეადგენს;
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 24 757.67 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 38.3%-ს შეადგენს;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 268 981.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.3%-ს შეადგენს;
- უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 5 013.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.3%-ს შეადგენს;
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 5 234.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 69.3%-ს შეადგენს;
- მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 12 083.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 51.8%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები, დოქტორანტურის პროგრამები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 48 368.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84.4%-ს შეადგენს;

- საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 8 439.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 36.2%-ს შეადგენს;
- შეღავათიანი აგროკრედიტები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 55 800.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 50 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.


2014 წლის 9 თვის ხარჯების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

2013-2014 წლების 9 თვის ფაქტიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708 - დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დაფინანსებამ შეადგინა 1 223 599.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 304 248.4 ათასი ლარი) 93.8%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 21.8%-ს შეადგენს. მათ შორის:

- ✓ აღმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 241 398.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (281 778.1 ათასი ლარი) 85.7%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 18 176.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (21 014.5 ათასი ლარი) 86.5%-ია;
- ✓ ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 17 930.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (22 504.5 ათასი ლარი) 79.7%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 178 756.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (193 938.8 ათასი ლარი) 92.2%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 711 045.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (725 886.4 ათასი ლარი) 98.0%;

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 56 292.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (59 126.1 ათასი ლარი) 95.2%-ია.

• თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 468 995.9 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 455 533.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.1%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 8.1%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 431 348.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (441 535.2 ათასი ლარი) 97.7%;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 418.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (800.0 ათასი ლარი) 52.3%.
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 23 376.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (26 010.7 ათასი ლარი) 89.9%-ს შეადგენს.
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 390.9 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (650.0 ათასი ლარი) 60.1%-ია.

• საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 685 449.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 647 191.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 11.5%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 476 723.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (491 895.2 ათასი ლარი) 96.9%;
- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 69 577.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (75 803.2 ათასი ლარი) 91.8%-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 80 460.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (92 614.6 ათასი ლარი) 86.9%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 20 430.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 136.3 ათასი ლარი) 81.3%-ს შეადგენს.

• ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 787 109.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 617 200.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 78.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.0%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 14 691.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (25 667.3 ათასი ლარი) 57.2%;
- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 156 780.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (178 780.0 ათასი ლარი) 87.7%-ს შეადგენს;
- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 37 463.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (22 106.6 ათასი ლარი) 169.5%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 759.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 038.1 ათასი ლარი) 73.2%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 357 617.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (459 450.0 ათასი ლარი) 77.8%;

- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 34 306.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (77 909.7 ათასი ლარი) 44.0%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 2 086.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 422.4 ათასი ლარი) 32.5%-ს შეადგენს;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 13 495.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 735.7 ათასი ლარი) 85.8%-ს შეადგენს.

• გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 29 633.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 23 752.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 80.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.4%. მათ შორის:

- ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და განადგურების დაფინანსებაში საკასო ხარჯი გაწეული არ იქნა;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 11 561.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (16 835.7 ათასი ლარი) 68.7%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 12 191.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 572.5 ათასი ლარი) 97.0%-ს შეადგენს.

• საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 73 682.2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 29 157.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 39.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.5%. მათ შორის:

- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 4 128.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 700.2 ათასი ლარი) 47.4%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 24 757.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (62 961.0 ათასი ლარი) 39.3%-ს შეადგენს.
- ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 271.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 021.0 ათასი ლარი) 13.4%-ს შეადგენს.

• ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 452 413.5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 434 302.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.7%. მათ შორის:

- ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 14 088.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (16 268.0 ათასი ლარი) 86.6%;
- ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 234 104.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (236 637.8 ათასი ლარი) 98.9%-ს შეადგენს;
- ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 60 392.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (60 508.6 ათასი ლარი) 99.8%;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 29 367.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 191.3 ათასი ლარი) 91.2%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 96 349.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (106 807.9 ათასი ლარი) 90.2%-ს შეადგენს.

• დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 149 129.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 132 494.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.4%. მათ შორის:

- ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 41 411.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (43 795.0 ათასი ლარი) 94.6%;
- ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 59 964.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (60 944.6 ათასი ლარი) 98.4 %-ს შეადგენს;
- ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 26 416.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (38 992.5 ათასი ლარი) 67.7%-ს შეადგენს;
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 581.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (613.7 ათასი ლარი) 94.8%-ს შეადგენს;
- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 4 121.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 784.1 ათასი ლარი) 86.1%-ს შეადგენს.

• განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 564 671.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 490 044.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 8.7%. მათ შორის:


- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 340 988.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (371 391.8 ათასი ლარი) 91.8%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 9 223.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (13 506.9 ათასი ლარი) 68.3%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 58 901.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (63 340.7 ათასი ლარი) 93.0%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებაში საკასო ხარჯი გაწეული არ იქნა;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 14 159.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 366.3 ათასი ლარი) 81.5%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 66 771.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (98 566.2 ათასი ლარი) 67.7%-ს შეადგენს.

• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1 591 423.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 557 171.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 27.8%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 2 108.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 666.3 ათასი ლარი) 79.1%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 994 665.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (994 730.6 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 479 142.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (486 180.4 ათასი ლარი) 98.6%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 6 278.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (7 039.9 ათასი ლარი) 89.2%;

- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 49 993.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (72 344.2 ათასი ლარი) 69.1%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 24 983.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (28 462.3 ათასი ლარი) 87.8%-ს შეადგენს.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



### საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით. ამასთან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებით განხორციელდა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებიდან (ძირითადად ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე) თანხის გადანაწილება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში და მთავრობის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 11 252.9 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 59 532.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 30 258.4 ათასი ლარი.

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
<b>საქართველოს მთავრობის კანცელარია</b>		<b>15,504,590.0</b>	<b>12,004,590.0</b>	<b>7,132,347.4</b>	<b>4,872,242.6</b>
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N21 10.01.14.	საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად	3,000,000.0	3,000,000.0	1,560,833.6	1,439,166.4
საქართველოს მთავრობის განკარგულება N437 13.03.14.	საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებისათვის	3,500,000.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N643 10.04.14.	საქართველოს მთავრობის კანცელარიის, ეკონომიკური და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის სამსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით	7,000,000.0	7,000,000.0	4,265,813.7	2,734,186.3
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1115 23.06.14.	„ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერიდან გამომდინარე, ქ.თბილისსა და ქ. ბათუმში 2014 წლის 27-28 ივნისს საზეიმო ღონისძიებებისა და მათთან დაკავშირებული სვადასხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით	998,000.0	998,000.0	853,686.6	144,313.4
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N209 11.07.14.	საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის - საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარჯის დაფინანსების მიზნით	91,000.0	91,000.0	88,349.3	2,650.7
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1326 01.08.14.	საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საკომუნიკაციო სტრატეგიის განვითარების ხელშეწყობისათვის, კომპანია „The Harbour Grup“ - ისაგან საჯარო მოსამსახურეთა ტრენინგების ჩატარებისა და დისტანციური საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	520,590.0	520,590.0	363,664.2	156,925.8
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1549 08.09.14.	„ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობისადმი მიძღვნილი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 ივნისის N1007 განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	395,000.0	395,000.0	0.0	395,000.0
